აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი

საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №15

3 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, 51-ე მუხლის მე-11 პუნქტის „ე" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი განისაზღვროს შემდეგ ნაირად: ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას შემოხაზავს მისთვის სასურველი საარჩევნო სუბიექტის ნომერს.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე: ი. ფაღავა

კომისიის მდივანი: გ. მჭედლიძე